

ბავშვთა ადრეული ინტერვენციის მომსახურების მინიმალური სტანდარტი

მოცემული სტანდარტი წარმოადგენს ბავშვთა ადრეული ინტერვენციის მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც ხორციელდება აღნიშნული მომსახურების მონიტორინგი.

მუხლი 1. ინფორმაცია მომსახურების და ბენეფიციარის შესახებ

მოსალოდნელი შედეგი:

მომსახურების მიმწოდებელს აქვს შინაგანაწესი, სადაც გაწერილია ინფორმაცია მომსახურების შესახებ. ბენეფიციარის (დაბადებიდან 3 წლამდე და საჭიროების შემთხვევაში, 7 წლამდე ასაკის განვითარების დარღვევის, ან ამ მხრივ რისკის მქონე ბავშვების) კანონიერმა წარმომადგენელმა/მინდობით აღმზრდელმა (მათ შორის პოტენციურმა) იცის მომსახურების მიზანი, განსახორციელებელი ღონისძიებები და მხარეთა უფლება-მოვალეობები.

მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ჰქონდეს შემდეგი დოკუმენტაცია

1. მომსახურების შესახებ:

1.1 შინაგანაწესი, სადაც აღწერილია მომსახურების ძირითადი მიზანი და განხორციელების პროცესი, მომსახურების მიმწოდებლისა და მიმღების უფლებები და მოვალეობები, უკუკავშირისა და გასაჩივრების წესი, მომსახურების შეწყვეტის საფუძველი, კონფიდენციალობის დაცვის საკითხები, ძალადობისგან დაცვა, გარემო პირობები, ბავშვისა და სპეციალისტის უსაფრთხოების დაცვა;

1.2 კანონიერ წარმომადგენელთან/მინდობით აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის ნაწილიც არის ინფორმირებული თანხმობა მომსახურების

პროცესში თანამშრომლობაზე (თითოეული ორგანიზაცია ხელმძღვანელობს მის მიერ შემუშავებული ფორმით);

1.3 თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელსაც ახლავს სამუშაო აღწერილობა, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ავტობიოგრაფია (თითოეული ორგანიზაცია ხელმძღვანელობს მის მიერ შემუშავებული ფორმით).

2. ბენეფიციარის შესახებ:

2.1 მომსახურებაში ჩართული თითოეული ბენეფიციარის პირადი საქმე, რომლის სრულყოფილებაც იზომება ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის არსებობით, შეფასებისა და ოჯახის ინდივიდუალური მომსახურების გეგმების იმ რაოდენობით, რომელიც უნდა ჰქონდეს განხორციელებული სტანდარტის მიხედვით იმ პერიოდში, რა პერიოდითაც იყო ბენეფიციარი ჩართული მომსახურებაში, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის დოკუმენტებს:

ა) დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) კანონიერი წარმომადგენლობის შემთხვევაში – აღნიშნულის დამადასტურებელი საბუთი და მისი ასლი, მინდობით აღმზრდელის შემთხვევაში – მინდობით აღზრდის ხელშეკრულების ასლი;

დ) ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა № IV-100/ა);

ე) შშმ ბავშვის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა და მისი ასლი, თუ პირი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვია;

ვ) ბავშვისა და ოჯახის წევრების შეფასება და ოჯახის ინდივიდუალური მომსახურების გეგმის ყველა ფორმა, რომელიც განხორციელდა მომსახურების მიღების პროცესში: მათ შორის ბავშვის ინდივიდუალური ტრანზიციის მისაღწევი შედეგი/ამოცანები, თუ მომავალი ექვსი თვის ვადაში იგეგმება ბავშვის ტრანზიცია სხვა მომსახურებაში -

სკოლამდელი განათლების, ზოგადი განათლების მიმწოდებელ ორგანიზაციებში ან ალტერნატიულ სერვისებში;

ზ) ბავშვის რთული ქცევის მართვის განხილვის ფორმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2.2 პირადი საქმის ადგილზე არარსებობის შემთხვევაში, განცხადება პირადი საქმის გატანის შესახებ კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის ან უფლებამოსილი უწყების მიერ.

მუხლი 2. მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობა, ოჯახის ჩართულობა და ინკლუზიურობა

მოსალოდნელი შედეგი:

1. ბენეფიციარს და მის კანონიერ წარმომადგენელს/მინდობით აღმზრდელს გაეწია მომსახურება რასობრივი, სქესობრივი, ენობრივი, რელიგიური, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.
2. ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენელი/მინდობითი აღმზრდელი ფლობს ან იძენს ბავშვის აღზრდა-განვითარებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს და ბავშვს უქმნის განვითარების ხელშემწყობ პოზიტიურ გარემოს.
3. ბენეფიციარის ასაკიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, მომსახურების მიმწოდებელი ზრუნავს, იმაზე რომ ბენეფიციარმა მიიღოს თემში არსებული, მისთვის შესაბამისი, საგანმანათლებლო თუ სოციალური მომსახურება/ები.
4. მომსახურების მიმწოდებელი ზრუნავს ბენეფიციარის ინკლუზიურ სკოლამდელ ან სასკოლო განათლებაში ან ალტერნატიულ სერვისში ჩართვაზე; შესაბამისად, ბავშვის სკოლამდელ და ზოგადი განათლების სისტემაში ან ალტერნატიულ სერვისში ტრანზიციამდე 6 თვით ადრე, ბავშვისა და ოჯახის საჭიროებებიდან გამომდინარე ქმნის ოჯახის ინდივიდუალური მომსახურების გეგმას, სადაც ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის, ადრეული ინტერვენციის სპეციალისტის / ან ტრანსდისციპლინური გუნდის შესაბამისი სპეციალისტის მონაწილეობით განსაზღვრავს იმ

ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ბავშვის ახალ საგანმანათლებლო გარემოში ან ალტერნატიულ სერვისებში ეფექტური და უმტკივნეულო ტრანზიციისთვის.

მომსახურების მიწოდებელი ვალდებულია:

1. გააფორმოს დოკუმენტურად და წარმოადგინოს მსურველი ოჯახის მომსახურებაში ჩართვაზე უარის თქმის მიზეზი.

2. შეაფასოს ბავშვის და ოჯახის ძლიერი მხარეები და საჭიროებები და შეიმუშავოს ოჯახის ინდივიდუალური მომსახურების გეგმა კანონიერ წარმომადგენელთან/მინდობით აღმზრდელთან ერთად, რაც გულისხმობს კანონიერი წარმომადგენლის/მინდობითი აღმზრდელის ბავშვის აღზრდა-განვითარების უნარების გაუმჯობესებას და მისი ჩართულობის გაზრდას ბავშვის განვითარების ხელშეწყობის პროცესში, მათ შორის მომსახურების მიწოდების დროს, რაც თავის მხრივ ფასდება ვიზიტების ხელმოწერის ფურცელზე.

3. ბენეფიციარის შესაძლებლობების, საჭიროებების, ასაკის და საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან ალტერნატიულ სერვისში შესვლის დროითი ჩარჩოს გათვალისწინებით, შეიმუშავოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან ალტერნატიულ სერვისებში ტრანზიციის მისაღწევი შედეგი/ამოცანები, რომელიც ოჯახის ინდივიდუალური მომსახურების გეგმის ნაწილია:

3.1. ბავშვის სკოლამდელი, ზოგადი განათლების ან ალტერნატიული სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებში ტრანზიციის დაგეგმვა იწყება ახალ სისტემაში ტრანზიციამდე მინიმუმ ექვსი თვით ადრე.

3.2 ბავშვის ტრანზიციის პროცესში ჩართულია ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი/მინდობით აღმზრდელი, ადრეული ინტერვენციის სპეციალისტი ან ტრანსდისციპლინური გუნდის შესაბამისი სპეციალისტი მას შემდეგ, რაც იდენტიფიცირებულია ის დაწესებულება, სადაც ხდება ბავშვის ტრანზიცია, მომსახურების მიმწოდებელი მხარს უჭერს მიმღები დაწესებულების შესაბამისი წარმომადგენლის მონაწილეობას ტრანზიციის განხორციელების პროცესში.

3.3 ოჯახის ინდივიდუალური მომსახურების გეგმაში ასახულია ის სამუშაო/ლონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ბავშვთან, მის კანონიერ წარმომადგენელთან და იმ ორგანიზაციასთან, სადაც ხდება ბავშვის ტრანზიცია.

მუხლი 3. კონფიდენციალურობის დაცვა

მოსალოდნელი შედეგი:

დაცულია ბენეფიციარის პირადი ინფორმაციის კონფიდენციალობა. კანონიერი წარმომადგენელი/მინდობით აღმზრდელი ინფორმირებულია იმ შემთხვევების შესახებ, როდესაც კონფიდენციალობა შეიძლება დაირღვეს.

მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია:

1. შინაგანაწესში გაწერილი ჰქონდეს კონფიდენციალურობის დაცვისა და ინფორმაციის გაცემის შესახებ გასახორციელებელი წესები, მათ შორის:

1.1 მომსახურების ფარგლებში კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის კორესპონდენციის, საუბრებისა და პირადი შეხვედრების კონფიდენციალურობის დაცვა;

1.2 ბენეფიციარის და მისი კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის პირადი ინფორმაციის (ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ოჯახის, ქცევითი თავისებურებები და სხვა) საჯაროდ განხილვისგან დაცვის წესები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მსგავსი განხილვა მომსახურების ნაწილია (მაგ.: შემთხვევის კონფერენცია, ჯგუფური კონსულტაცია, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, სხვა სამსახურისთვის გადაგზავნა, მაგ.: სამედიცინო დაწესებულება, სამინისტრო, სამინისტროს სახელმწიფო კონტორლს დაქვემდებარებული სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), საქართველოს სახალხო დამცველს, საქართველოს პოლიცია);

1.3 ბენეფიციართა პირადი საქმეები (მათ შორის შემთხვევის განხილვის ჩანაწერები) ინახება სათავსოში, რომელიც იკეტება, ხოლო ელექტრონული დოკუმენტაციის არსებობის

შემთხვევაში, მასზე წვდომა აქვს მხოლოდ პროგრამის ადმინისტრატორს და ადრეული ინტერვენციის პროგრამაში ჩართულ სპეციალისტებს;

1.4 მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში, ბენეფიციარის პირადი საქმის შენახვა ხორციელდება არანაკლებ 3 წლის განმავლობაში, შიდა სტანდარტის და ორგანიზაციის შინაგანაწესის შესაბამისად. თითოეული შეწყვეტილი შემთხვევა აღრიცხული იქნება ორგანიზაციის შინაგანაწესის მიხედვით;

1.5 ბენეფიციარის პირადი საქმის გაცემის აღრიცხვა ხდება ორგანიზაციის შინაგანაწესის მიხედვით;

2. სხვა დამატებითი ინფორმაცია:

2.1 ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის წერილობითი ინფორმირებული თანხმობა კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემა/გამოქვეყნებამდე;

2.2 დათარიღებული და ხელმოწერილი განცხადება ბენეფიციარის პირადი საქმის მოთხოვნის შესახებ. ამ პუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება სამინისტროს სოციალური დაცვისა პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომელზე;

2.3 ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინება ბავშვის პირადი საქმის ასლის სხვა ორგანიზაციაზე გაცემის შესახებ და მიღებული წერილობითი თანხმობა, სანამ მოხდებოდა პირადი საქმის ასლის გაზიარება სხვა ორგანიზაციისთვის.

მუხლი 4. ძალადობისგან დაცვა

მოსალოდნელი შედეგი:

ბენეფიციარზე განხორციელებული ძალადობის ფაქტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დროულად არის გამოვლენილი და მოხდა სათანადო რეაგირება.

მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია:

1. იცნობდეს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებითა და „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.
2. ჰქონდეს შემუშავებული ძალადობისაგან დაცვის შიდა ინსტრუქცია.
3. საჭიროების შემთხვევებში, უზრუნველყოს სათანადო ღონისძიებების გატარება ბენეფიციართა ფსიქო-სოციალური დახმარების მიზნით.
4. ძალადობის შესახებ არსებული ყველა ფაქტი და/ან განცხადება, ასევე, მის საპასუხოდ გატარებული ღონისძიება, წერილობით აღრიცხოს შესაბამის ჟურნალში.

მუხლი 5. მომსახურებისას ადრეული ინტერვენციის ძირითადი პრინციპების გამოყენება და ინდივიდუალური მიდგომა

მოსალოდნელი შედეგი:

1. ბენეფიციარი და მისი კანონიერი წარმომადგენელი/მინდობით აღმზრდელი იღებს ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამის მომსახურებას ბავშვისა და ოჯახისთვის ბუნებრივ გარემოში. ბავშვის განვითარების ხელშეწყობა ხდება მისი ოჯახურ აქტივობებში ჩართულობით, კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობითა და ბენეფიციარის ქცევის მართვის ადეკვატური სტრატეგიების გამოყენებით.
2. კანონიერი წარმომადგენელი/მინდობით აღმზრდელი მოტივირებულია და ჩართულია ოჯახის ინდივიდუალური მომსახურების გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესებში.
3. ოჯახის ინდივიდუალური მომსახურების გეგმა შემუშავებულია ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის აქტიური ჩართულობით.

მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია:

1. ბავშვისა და ოჯახის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების შეფასება განახორციელოს მომსახურებაში ჩართვიდან მაქსიმუმ 16 ვიზიტის განმავლობაში. ბავშვის უნარების შეფასება ხორციელდება საერთაშორისოდ აღიარებული და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან (შემდგომში - სამინისტრო) შეთანხმებული, კურიკულუმზე დაფუძნებული შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ არის ლიმიტირებული შემდეგი ჩამონათვალით: ჰავაის ადრეული სწავლებს პროფილი (Hawaii Early Learning Profile, HELP), შეფასების და პროგრამირების სისტემა (Assessment Evaluation & Programming System, AEPS) პორტიჯის ადრეული სწავლების სახელმძღვანელო (The Portage Guide to Early Education, PGEE).

2. შეიმუშაოს ოჯახის ინდივიდუალური მომსახურების გეგმა ბენეფიციარის/ოჯახის შეფასების დასრულებიდან, არაუმეტეს ერთი კვირის ვადაში. პერიოდულად, შეთანხმებული განრიგის შესაბამისად - 6 თვეში ერთხელ ბენეფიციარის კანონიერ წარმომადგენელთან/მინდობით აღმზრდელთან ერთად გადასინჯოს ოჯახის ინდივიდუალური მომსახურების გეგმა. ოჯახის ინდივიდუალური მომსახურების გეგმა ხელმოწერილია კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის მიერ და მასში წარმოდგენილია შემდეგი სახის ინფორმაცია:

- 2.1 ოჯახში ბავშვის გარემოსა და სახლის უსაფრთხოების შეფასების ანგარიში;
- 2.2 კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის პოზიტიური აღზრდის უნარ-ჩვევებს შეფასების ანგარიში;
- 2.3 ბავშვის განვითარების შეფასების ანგარიში;
- 2.4 ოჯახის მისაღწევი ფუნქციური შედეგები/ამოცანები და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და გეგმის შესრულების ვადები;
- 2.5 ბავშვისა და ოჯახისათვის გასაწევი მომსახურების სახეობა და განრიგი;
- 2.6 ბავშვთან და ოჯახთან მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაცია (დასკვნა);

3. მომსახურების ადგილმდებარეობისა და ოჯახის ინდივიდუალური მომსახურების გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესახებ აწარმოოს ჩანაწერი, რომელიც

დადასტურებულია ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენლის/მიმღები მშობლის ხელმოწერით ვიზიტის ჩანაწერის ფორმაში.

4. ბენეფიციარის პირად საქმეში საჭიროებიდან გამომდინარე წარმოადგინოს ბავშვის რთული ქცევის მართვის გეგმა, რომელიც შემუშავებულია ბავშვის კანონიერ წარმომადგენელთან/მინდობით აღმზრდელთან ერთად.

5. უზრუნველყოს ბენეფიციარის ადრეული ინტერვენციის პროგრამიდან სხვა მომსახურებაში ტრანზიცია, რაც ასახულია ოჯახის ინდივიდუალური მომსახურების გეგმაში. მომსახურების მიმწოდებელი:

5.1 მუშაობს ბავშვის კანონიერ წარმომადგენელთან/მინდობით აღმზრდელთან, გასცემს რეკომენდაციებს, თუ როგორ წახალისოს ოჯახმა ბავშვის მზაობა ცხოვრების შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად. კანონიერ წარმომადგენელს/მინდობით აღმზრდელს კონსულტაციას უწევს იმ ორგანიზაციების (ბაღი, სკოლა, ალტერნატიული სერვისები) იდენტიფიცირების პროცესში, სადაც მოხდება ბავშვის ტრანზიცია და მხარს უჭერს ოჯახს ორგანიზაციასთან პირველი კონტაქტის დამყარების და ინფორმაციის გაცვლის პროცესში.

5.2 კანონიერ წარმომადგენელს/მინდობით აღმზრდელს ეხმარება განვითარების მხარდამჭერი აქტივობებით მოამზადოს ბავშვი ცხოვრების შემდგომ ეტაპზე ტრანზიციისთვის: მოამზადოს ბავშვი სკოლამდელი ან ზოგადი განათლების სისტემაში ან ალტერნატიულ სერვისში ტრანზიციისთვის სხვადასხვა მეთოდებით.

5.3 გააცნოს ბავშვს ახალი გარემო და შეუქმნას ფსიქო-ემოციური მზაობა ტრანზიციისთვის;

5.4 ადრეული ინტერვენციის მომსახურებით სარგებლობის განმავლობაში ახორციელებს ვიზიტებს ბავშვთან და მხარს უჭერს მას ახალ გარემოსთან შეგუების პროცესში;

5.5 კანონიერ წარმომადგენელთან/მინდობით აღმზრდელთან შეთანხმების საფუძველზე განაგრძობს ინტერვენციას ბავშვის ახალ გარემოში.

5.6 თანამშრომლობს სკოლამდელი, ზოგადი განათლების ან ალტერნატიულ სერვისებთან. განსაზღვრავს და განიხილავს ბავშვისა და ორგანიზაციის მზაობას შემდგომი თანამშრომლობისათვის. უზიარებს წერილობით დოკუმენტაციას, რომელიც ასახავს

ბავშვის შესაძლებლობებს, საჭიროებებს და რეკომენდაციებს ინტერვენციის ეფექტურ სტრატეგიებზე და განიხილავს აღნიშნულ ინფორმაციას მიმღები დაწესებულების წარმომადგენლებთან;

საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ვიზიტებს და ინარჩუნებს კონტაქტს დაწესებულებასთან ახალ გარემოში ბავშვის შეგუების პროცესის მიზნით და აწვდის მათ დამატებით რეკომენდაციებს;

6. მოთხოვნის შესაბამისად აწვდის ბენეფიციარის კანონიერ წარმომადგენელს/მინდობით აღმზრდელს ოჯახის ინდივიდუალური მომსახურების გეგმის ასლს.

მუხლი 6. უკუკავშირისა და გასაჩივრების პროცედურები

მოსალოდნელი შედეგი:

ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენელი/მინდობით აღმზრდელი ინფორმირებულია უკუკავშირისა და გასაჩივრების პროცედურების შესახებ. მას შეუძლია გამოხატოს საკუთარი შეხედულება მომსახურების შინაარსთან ან ხარისხთან დაკავშირებით, რაზეც რეაგირება ხდება შინაგანაწესით დადგენილი წესით.

მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია:

მომსახურების მიმწოდებელს შინაგანაწესში გაწერილი ჰქონდეს უკუკავშირისა და გასაჩივრების პროცედურები, რომლებსაც აცნობს კანონიერ წარმომადგენელს/მინდობით აღმზრდელს, რაც დასტურდება ხელშეკრულებაზე ხელმოწერით.

მიღებული უკუკავშირის/გასაჩივრების შემთხვევა, მასზე რეაგირება და შედეგი ასახოს სპეციალურ ჟურნალში.

მუხლი 7. მოთხოვნები მომსახურების მიწოდების პროცესში ჩართული პერსონალის მიმართ მოსალოდნელი შედეგი:

მომსახურების მიმღებთა ინდივიდუალური საჭიროებები დაკმაყოფილებულია. მომსახურებასა და საჭირო კონსულტაციებს განახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლები.

მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია:

დასაქმებული ჰყავდეს თანამშრომლები, რომლებიც აკმაყოფილებენ ქვემოთ მოცემულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც დასტურდება მათ პირად საქმეებში არსებული დოკუმენტაციით:

1. დასაქმებულთაგან მინიმუმ ორი არის სხვადასხვა დისციპლინის პროფესიონალი ჩამონათვალიდან: ადრეული ინტერვენციის სპეციალისტის პოზიციაზე მომუშავე პროფესიონალი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი ან ენისა და მეტყველების თერაპევტი (ლოგოპედი) ან ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სპეციალისტი ან სპეციალური მასწავლებელი.

2. დამატებით ორგანიზაციებს შეიძლება ჰყავდეთ: ექთანი, ექიმი, სოციალური მუშაკი და სხვა ნებისმიერი სპეციალისტი, რომლებსაც აქვთ ან განვითარების შეფერხების მქონე ადრეული ასაკის ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება ან გავლილი შესაბამისი კურსი.

3. ბავშვთა ადრეული განვითარების ქვე-პროგრამის მიმწოდებელ ორგანიზაციას უნდა ჰყავდეს სუპერვიზორი რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, ბავშვებთან მუშაობის 5 წლიანი გამოცდილება (აქედან 3 წელი ადრეული ინტერვენციის პროგრამაში) ბავშვთა ადრეული ინტერვენციის / განვითარების ადგილობრივი ან საერთაშორისო კურსის დასრულების ადგილობრივი ან საერთაშორისო სერტიფიკატი/დიპლომი, ადგილობრივი ან საერთაშორისო სერტიფიკატი სუპერვიზიაში;

4. დასაქმებული პარაპროფესიონალი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს ადრეული ინტერვენციის ტრენინგის სერტიფიკატი და ამავე პროგრამაში მოხალისედ მუშაობის 6 თვიანი გამოცდილება. ის ასრულებს კონკრეტულ აქტივობებს, მათ შორის, სახლში ვიზიტებს ადრეული განვითარების სპეციალისტისა და სხვა სპეციალისტების ზედამხედველობით.

5. ამ მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებულ ყველა სპეციალისტს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლების დიპლომი (გარდა ექთნისა) და ბავშვთა ადრეული ინტერვენციის ტრენინგის სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს:

5.1. სამინისტროსთან შეთანხმებული პროგრამის გავლას;

5.2. ამ მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული თანამშრომლების პირად საქმეში უნდა ინახებოდეს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დიპლომი, სერტიფიკატი) ასევე, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) და ნასამართლეობის შესახებ ცნობა, რომელიც გაახლდება სამ წელში ერთხელ.

6. თანამშრომლების პირადი საქმეები ინახება მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციაში.

მუხლი 8. სპეციალისტებისა და ბენეფიციართა თანაფარდობა

მოსალოდნელი შედეგი:

ბენეფიციართა რაოდენობა ერთი საშტატო თანამშრომლისთვის ოპტიმალურია, იძლევა ხარისხიანი მომსახურების მიწოდების საშუალებას იცავს ბენეფიციარს და თანამშრომელს სამუშაო სტრესისა და გადაღლისაგან.

მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია:

1. დაიცვას ბენეფიციართა და სპეციალისტთა (გარდა ადმინისტრაციის თანამშრომლებისა) თანაფარდობა, რაც გულისხმობს, რომ სპეციალისტის ვიზიტების რაოდენობა საშუალოდ, დღის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 5 ვიზიტს, ხოლო კვირის განმავლობაში - 30 ვიზიტს.

2. ბავშვთა ადრეული განვითარების ქვე-პროგრამის მომსახურების მიმწოდებელს ყოველ 60 ბავშვზე უნდა ჰყავდეს მინიმუმ 1 სრულ განაკვეთზე მომუშავე სუპერვიზორი. (იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციას ყავს 60 ბავშვი, და სუპერვიზორი მუშაობს ნახევარ განაკვეთზე, ორგანიზაციას უნდა ყავდეს 2 ნახევარ განაკვეთიანი სუპერვიზორი).

მუხლი 9. მომსახურების შეწყვეტა/მომსახურებაზე უარი

მოსალოდნელი შედეგი:

ბენეფიციარის კანონერი წარმომადგენელი/მინდობითი აღმზრდელი ინფორმირებულია მომსახურების შეწყვეტის/მომსახურებაზე უარის თქმის საკითხების შესახებ, რაც დასტურდება ხელმოწერით. მომსახურების მიმწოდებელი მომსახურებას შეწყვეტს/მომსახურებაზე უარს ამბობს მისი საჭიროების ამოწურვის შესაბამისად ან კანონერი წარმომადგენლის/მინდობითი აღმზრდელის მხრიდან წინასწარ შეთანხმებული წესების დარღვევის შემთხვევაში.

მომსახურების მიწოდების შეწყვეტის/უარის საფუძველია:

1. არსებული მომსახურება ვერ პასუხობს ბავშვის საჭიროებებს ან ბავშვმა მიაღწია ასაკის შესაბამის განვითარებას, რაც დადასტურებულია ბავშვის შეფასების ანგარიშით და ტრანსდისციპლინური გუნდის დასკვნით და ხელმოწერით.
2. კანონიერი წარმომადგენელი/მინდობითი აღმზრდელი არ არის ჩართული მომსახურების განხორციელების პროცესში (ოჯახის ინდივიდუალური მომსახურების გეგმის შემუშავება, ბავშვთან დასახული მისაღწევი ფუნქციური შედეგების/ამოცანების განხორციელება) და/ან უარს აცხადებს ოჯახის ინდივიდუალური მომსახურების გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებაზე. მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ბავშვის კანონიერ წარმომადგენელს/მინდობით აღმზრდელს მისცეს 3 თვიანი ვადა მდგომარეობის გამოსასწორებლად, სანამ მოხდება მომსახურების მიწოდების შეწყვეტა.
3. მომსახურების მიწოდებისას სპეციალისტისთვის არ არის შექმნილი უსაფრთხო გარემო ან ირღვევა მისი უფლებები.
4. მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის შესაძლო ლიმიტის შევსება (მომსახურებაში აღარ არის ახალი ბენეფიციარის ჩართვის საშუალება, რადგან არსებული სპეციალისტების სამუშაო დრო სრულად არის შევსებული).

5. ბენეფიციარის საცხოვრებელი სახლის მდებარეობა, ისეთ ადგილას, სადაც შეუძლებელია მომსახურების მიწოდება შემდეგი მიზეზების გამო:

5.1 ბენეფიციარის საცხოვრებელი ადგილი არ მდებარეობს მომსახურების მიმწოდებლის მიერ განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალში;

5.2 ბენეფიციარის საცხოვრებელი ადგილი მდებარეობს ისეთ ადგილას, სადაც არ მიდის საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ასეთ შემთხვევებში გამონაკლისის სახით დასაშვებია მომსახურების მიღება მომსახურების მიმწოდებელთან ცენტრში, ყოველი ასეთი შემთხვევა დასაბუთებული და გაწერილი უნდა იყოს ოჯახის ინდივიდუალური მომსახურების გეგმაში.

მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია:

1. მომსახურების შეწყვეტის/მომსახურების მიწოდებაზე უარის შემთხვევაში, წარმოადგინოს დოკუმენტი, სადაც ასახულია შეწყვეტის/უარის მიზეზი.
2. მომსახურების შეწყვეტის/მომსახურების მიწოდებაზე უარის შემთხვევაში, მოახდინოს სააგენტოს ინფორმირება.

მუხლი 10. გუნდური შეხვედრების დაგეგმვა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

მოსალოდნელი შედეგი:

მომსახურების მიმწოდებელი ზრუნავს მომსახურების ხარისხის გაზრდასა და შენარჩუნებაზე.

მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია:

1. უზრუნველყოს ტრანსდისციპლინური გუნდური შეხვედრები ორგანიზაციის შიდა შეთანხმებით დათქმულ ვადებში არანაკლებ თვეში ერთხელ.
2. უზრუნველყოს სპეციალისტებთან ჯგუფური შეხვედრების ორგანიზება შემთხვევების განხილვის, უკუკავშირის, პროფესიული ზრდის და სერვისის შიდა ტრენინგების მიზნით.